თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №12

თბილისი, 15 ნოემბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ზექა ძამაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- ალექსი ბატიაშვილი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- ბაია თოლორდავა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსი;
- ლაშა პიტნავა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- გიორგი ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- თამარ ბასილაია – „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI).

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- არჩილ გორდულაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. საჩივრების განხილვის თაობაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციის მოსმენა;

3. სხვადასხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა საჩივრების განხილვას, სიტყვა გადაეცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს, ბატონ გიორგი სანტურიანს.

ბატონმა გიორგიმ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა ინფორმაცია იმ საარჩევნო დავების შესახებ, რომლებიც უკავშირდებოდა სამართალდარღვევის ოქმის შედგენას აგიტაციის ნორმების დარღვევის ან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან მიმართებით. მისი თქმით, მთლიანობაში, ჯამურად, წარმოდგენილ იქნა 114 საჩივარი; მათგან უმეტესობა – 65 საჩივარი – შეეხებოდა მხოლოდ სოციალური ქსელით აგიტაციას და რაიმე მასშტაბურ და სერიოზულ დარღვევასთან დაკავშირებით არც საჩივრის ავტორები უთითებდნენ; აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, მთლიანობაში, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შედგენილ იქნა 12 სამართალდარღვევის ოქმი და დამატებით კიდევ 6 სამართალდარღვევის ოქმი, რომლებიც უკავშირდებოდა პოლიტიკურ გაერთიანებებთან მიმართებით შედგენილ ოქმებს (უფასო სარეკლამო დროის გამოყენების წესის დარღვევა); თუმცა, უშუალოდ აგიტაციის ნორმებს შეეხებოდა 12 სამართალდარღვევის ოქმი; ამათგან პირველი შემთხვევა – ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასა და მერიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს, რომელმაც სამუშაო საათების განმავლობაში სოციალური ქსელის გამოყენებით გააზიარა შესაბამისი სააგიტაციო შინაარსის მასალა. დადასტურდა, რომ აღნიშნული სოციალური ქსელი ნამდვილად მას ეკუთვნოდა; არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, თუმცა, ამ შემთხვევაში, რადგანაც სამუშაო საათებში წინასაარჩევნო აგიტაციის ნორმების დარღვევას ჰქონდა ადგილი, შედგა შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმი ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ და იგი საბოლოოდ გადაიგზავნა სასამართლოში. სასამართლოში შესაბამის პირს გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. ბატონი გიორგის თქმით, ასევე, წარმოდგენილი იყო საჩივარი ბათუმის ერთ-ერთი უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ აგიტაციის ნორმების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით (შეხვედრაში მონაწილეობა, შესაბამისი ფოტომასალის დართვით). საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საჩივრის განხილვის შემდგომ დადასტურდა, რომ შესაბამისი პირი ნამდვილად მონაწილეობდა სააგიტაციო შეხვედრაში და მის მიმართაც შედგა სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც გადაიგზავნა სასამართლოში.

შემდეგი საჩივარი შეეხებოდა თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს (ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების მიერ დანიშნული წევრი), რომელმაც სოციალური ქსელის მეშვეობით გააზიარა სააგიტაციო შინაარსის მასალა. ამ შემთხვევაშიც დადასტურდა, რომ შესაბამისი სოციალური ქსელი ეკუთვნოდა კონკრეტულ პირს. შედგა სამართალდარღვევის ოქმი და გადაიგზავნა სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი დაჯარიმდა 2 000 ლარის ოდენობით.

მომდევნო საჩივარი შეეხებოდა გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, რომელმაც, ასევე, სოციალური ქსელის მეშვეობით გააზიარა სააგიტაციო შინაარსის მასალა და აქაც დადასტურდა, რომ აღნიშნული სოციალური ქსელი ეკუთვნოდა მას. შედგა სამართალდარღვევის ოქმი და იგი გადაიგზავნა სასამართლოში. სასამართლომაც გაიზიარა შესაბამისი არგუმენტაცია და მის მიმართაც 2 000 ლარის ოდენობით ჯარიმა იქნა გამოყენებული.

ერთ-ერთი საჩივარი შეეხებოდა ბაღდათის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მონაწილეობას სააგიტაციო შეხვედრაში; იგი იყო ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (საჩივარს ერთვოდა ფოტომასალაც). მართალია, თავად მიუთითებდა, რომ იყო „ძლიერი საქართველოს" მიერ დანიშნული კომისიის წევრი და შემთხვევით აღმოჩნდა ამ შეხვედრაზე – უბრალოდ, სურდა, გარკვეული ინფორმაცია მიეღო სააგიტაციო შეხვედრის ორგანიზატორი ერთ-ერთი პირისგან, რომელსაც შესაბამისი ცოდნა გააჩნდა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით, თუმცა, ეს არ ჩაითვალა სათანადო არგუმენტად და შედგა შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმი. ამ შემთხვევაშიც სასამართლომ გამოიყენა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

ერთი შემთხვევა უკავშირდებოდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსის მიერ სოციალურ ქსელში გაზიარებულ სააგიტაციო შინაარსის მასალას. დადასტურდა, რომ აღნიშნული სოციალური ქსელი ეკუთვნოდა შესაბამის პიროვნებას და აქაც შედგა სამართალდარღვევის ოქმი. სასამართლომ ამჯერადაც გაიზიარა საოლქო საარჩევნო კომისიის არგუმენტაცია.

ერთ-ერთი საჩივარი შეეხებოდა პოლიტიკური გაერთიანება „ძლიერი საქართველოს" მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში და ამავე ოლქში შემავალ №63 საუბნო საარჩევნო კომისიაში დანიშნულ კომისიის წევრს. ეს პირები მონაწილეობდნენ სააგიტაციო შეხვედრაში, რაც დასტურდებოდა, ერთი მხრივ, მიცემული ინტერვიუთი, და მეორე მხრივ, ფოტომასალით. აქედან გამომდინარე, შედგა შესაბამისი

სამართალდარღვევის ოქმები, რომლებიც გადაიგზავნა სასამართლოში. სასამართლომ გამოიყენა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

მსგავსი შემთხვევა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს ეხებოდა, რომლებიც, ასევე, სოციალური ქსელის მეშვეობით აზიარებდნენ სააგიტაციო შინაარსის მასალას. დადასტურდა შესაბამისი სოციალური გვერდის მათი კუთვნილება და შედგა სამართალდარღვევის ოქმები, რომლებიც გადაიგზავნა სასამართლოში. სასამართლომ გამოიყენა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

მომდევნო შემთხვევა უკავშირდება რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე მოქმედ ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიას – კენჭისყრის დღეს „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი კანდიდატი ერთ-ერთ ამომრჩეველს აძლევდა მითითებას, თუ რომელი სუბიექტი შემოეხაზა. შედგა სამართალდარღვევის ოქმი, თუმცა, ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში დავა ჯერ არ დასრულებულა.

ბოლო შემთხვევა ეხებოდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ აგიტაციის ნორმების დარღვევას. კერძოდ, იგი სამუშაო საათებში იმყოფებოდა პარტიულ ოფისში. ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ გაიზიარეს და არ შედგა სამართალდარღვევის ოქმი, თუმცა, საკითხი გასაჩივრდა სასამართლოში, რომელმაც დაადგინა დარღვევა. შესაბამისად, გამოყენებულ იქნა სიტყვიერი შენიშვნა.

რაც შეეხება უშუალოდ სასამართლოებში დავების წარმოებას (ძირითადად, ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და ორი პოლიტიკური გაერთიანების – „ლელოსა“ და „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ საჩივრები), ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული საჩივრები შეეხება ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგებსა და შემაჯამებელ ოქმებს. მისი თქმით, აქვე მნიშვნელოვანია, რომ, ფაქტობრივად, დავები უკვე დასრულებულია, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიებმა შედეგები კანონის შესაბამისად შეაჯამეს სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით და კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე; ახლა წარმოდგენილი საჩივარი, თუნდაც, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, და იმავე საკითხების დაყენება, რეალურად საარჩევნო პროცედურის დარღვევა იყო; თუმცა, ცესკო-მ განიხილა და მრავალსაათიანი სხდომაც მიუძღვნა, მათ შორის, ფარულობის დარღვევის საკითხი კიდევ ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი და კომისიის წევრების მხრიდანაც არაერთი კითხვა დაისვა. შემდგომ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მომჩივანთა არგუმენტაცია და სარჩელი არ

დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება, თავის მხრივ, გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში და დღეს, 4 საათზე, სააპელაციო სასამართლო განიხილავს შესაბამის მოთხოვნას.

საერთო ჯამში, ბატონი გიორგის განცხადებით, ფარულობასთან დაკავშირებით ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კენჭისყრის დღეს და კენჭისყრის დღის შემდგომ მეორე დღეს ფარულობასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე (ის, რომ ბიულეტენის ხმისმთვლელ აპარატში ჩარჩო-კონვერტის შეცურების დროს შესაძლებელი იყო ამომრჩევლის იდენტიფიცირება) არც სადამკვირვებლო ორგანიზაციებს განუცხადებიათ და არც საჩივრებით დაფიქსირებულა. ეს კი, ცალსახად მიუთითებს, რომ მსგავსი შემთხვევა, თუნდაც, ბიულეტენის მეორე მხარეს მარკერის მელნის გაჟონვა პრობლემად არ წარმოჩენილა და მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ – კენჭისყრიდან მესამე დღეს იჩინა თავი პრობლემად. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ფარულობის მასობრივი დარღვევის მითითებული მასშტაბი, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებელია, რაც დასტურდება დაინტერესებული მხარეების მიერ განხორციელებული რეაგირებითვე.

როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფარულობის დარღვევაში იგულისხმება, რომ შესაძლებელია, დადასტურდეს ჯაჭვი, ერთი მხრივ, ამომრჩეველსა და, მეორე მხრივ, მის მიერ მიცემულ ხმას შორის. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არც სასამართლო სხდომებზე, არც საარჩევნო კომისიებში, არც წარმოდგენილი მტკიცებულებებით ერთი შემთხვევაც კი არ არის სახეზე, რომ ზემოაღნიშნული ჯაჭვის შესაძლო დარღვევა გამოწვეული ყოფილიყო ჩარჩო-კონვერტის შეცურების მომენტში ფურცლის უკანა მხარეს გამოჩენილიყო მონიშვნის კვალით. საბოლოო ჯამში, განხილვების შედეგადაც დადასტურდა, რომ ფარულობის პრინციპის დარღვევა, განსაკუთრებით, იმ მასშტაბით, როგორადაც წარმოაჩენენ, არის სრულად მანიპულაციური და არ შეესაბამება რეალობას.

ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილე) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ფარულობის საერთაშორისო პრინციპის დაცვა ნიშნავს, შექმნა თუ არა კონკრეტულმა სახელმწიფომ პირობა, რათა ფარულობა ყოფილიყო დაცული. ამაზე ვერავინ იდავებს, რომ აბსოლუტურად ყველა პირობა იყო დაცული როგორც ტექნოლოგიური, ისე მატერიალური (ტექნოლოგიურში იგულისხმება ის, რომ მანქანას არ შეეძლო არჩევანის მოდიფიცირება ან გარდაქმნა და ეს არის დადასტურებული ამერიკული აუდიტორული კომპანიის მიერ, ხოლო მატერიალურში – რომ სპეციალურად ფარულობისთვის იყო ჩარჩო-კონვერტი შექმნილი, და კიდევ ის, რომ ფოტო-ვიდეოგადაღება აკრძალული იყო ხმის მიცემის კაბინაში; იმ სტანდარტით, რაზეც არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობენ, გამოდის, რომ ნებისმიერ უბანზე, სადაც ათი პირი, უბრალოდ, სპეციალურად გაამჟღავნებს თავის ფარულობას, არჩევნები უნდა ჩატარდეს თავიდან, რაც არის

წარმოუდგენელი სტანდარტი. სინამდვილეში, დამკვირვებლებს კენჭისყრის დღეს ზემოაღნიშნული პრობლემა ფარულობის პრობლემად არ აღუქვამთ, რასაც ადასტურებს მთელი იმ დღის განცხადებები.

ბატონმა გიორგიმ გენდერულ სტატისტიკასთან დაკავშირებითაც ისაუბრა: ზოგადად, საარჩევნო უბნებზე რეგისტრატორები ინიშნავენ მხოლოდ ქალ ამომრჩევლებს გენდერული აქტივობის კვლევის მიზნით. აღსანიშნავია, რომ 11 საარჩევნო უბნიდან არასწორად მიეწოდა ინფორმაცია ამომრჩეველთა გენდერული კუთხით აქტივობის შესახებ – ეს ეხება მხოლოდ 150 ამომრჩეველს და ამ რაოდენობის ამომრჩეველთა მიხედვით ცალკეული დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ იმის განზოგადება, რომ ყველა – 3 111 უბანზე საეჭვოდ მოხდა 2 მილიონზე მეტი ამომრჩევლის ნების დაფიქსირება, უბრალოდ, გაუგონარი რამაა.

ბატონი გიორგის თქმით, ფაქტი ისაა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ შეძლო 2012 წლის შემდეგ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა ყველაზე დიდი რაოდენობით გამოცხადების მართვა, მათ შორის, პირველად ქვეყნის მასშტაბით, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით; აბსოლუტურად ყველაფერი იყო შესაბამისად ადმინისტრირებული და დღეს მიმდინარე მცირე აჟიოტაჟი უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ დღის წესრიგს და არაფერი აქვს საერთო საარჩევნო დავებთან, რაც დასტურდება ყველა სასამართლოზე, ყველა საჩივარში, ყველა რეპორტაჟში და ა. შ. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ წინასაარჩევნო პროცესი იყო უჩვეულოდ მშვიდი; კენჭისყრის დღეს იმაზე ორჯერ ნაკლები საჩივრები შევიდა საუბნო საარჩევნო კომისიებთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში, ვიდრე 2020 ან 2021 წელს, ხოლო შედეგები გამოცხადდა რეკორდულად სწრაფად.

როგორც ბატონმა გიორგიმ მარკერთან, კონვერტსა და ქაღალდთან დაკავშირებით აღნიშნა, დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ ქაღალდი იყო ყველაზე მაღალი გრამაჟობის, რაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან უფრო მეტად სქელ ქაღალდს მანქანა, უბრალოდ, არ მიიღებდა, რამდენადაც მისი ჭრილი განკუთვნილია გარკვეული გრამაჟობის ქაღალდისთვის; მარკერის შესყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაცია „სმარტმატიკთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაშია მითითებული და იგი საჯაროა, განთავსებულია სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" ვებგვერდზე; კონვერტი კი, იყო ზუსტად იმავე ზომის, როგორიც – პილოტირების პროცესისას; იგი სრულად ფარავდა საარჩევნო სუბიექტებს და ტოვებდა გარკვეულ სივრცეს, რათა ხმის მთვლელ მანქანას შესძლებოდა შესაბამის ჭრილში ფურცლის სათანადოდ მიღება.

რაც შეეხება უშუალოდ მარკერს, ბატონი გიორგის თქმით, მარკერები მოწოდებულ იქნა „სმარტმატიკისგან". წინა პილოტებზე აღმოჩნდა, რომ ე.წ. პერმანენტ მარკერი (მუდმივი), რომელიც ძნელად შრებოდა, იწვევდა პრობლემას იმ თვალსაზრისით, რომ ბიულეტენზე მონიშვნის შემთხვევაში, კვალს ტოვებდა როლერზე. რამდენიმე ათეული ბიულეტენის შეცურების შემდეგ ეს კვალი შეიძლებოდა გადასულიყო ამომრჩევლის სხვა ბიულეტენზე, რაც საკმაოდ დიდი პრობლემაა. გარდა ამისა, თვითონ როლერიც ზიანდებოდა მარკერისგან და საჭირო იქნებოდა კენჭისყრის შეჩერება და ტექნიკის გაწმენდა. მაგალითად, ფოთში შუალედური არჩევნებისას „პერმანენტ მარკერებმა" გამოიწვია ეს პრობლემა. ამ არჩევნებისთვის „სმარტმატიკმა" მოგვაწოდა მაღალი აქროლვადობის მარკერები, რაც იმას ნიშნავს, რომ ალკოჰოლის დონე მაღალი იყო სწრაფი აორთქლების მიზნით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიზანია, რომ ყველა გავრცელებულ კითხვასა თუ ბრალდებაზე მოხდეს შესაბამისი რეაგირება და პასუხის გაცემა. ბატონი გიორგის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესში სინამდვილის და რეალობის მიწოდება საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორებისთვის. კენჭისყრის დასრულების შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს სურთ, ჩაატარონ შეხვედრები საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან.

2012 წლამდე არანაირი რეგულაცია არ აწესრიგებდა ფოტო-ვიდეოგადაღებას უბანზე, ყველა წერტილიდან იყო შესაძლებელი გადაღება. 2012 წელს მიღებულ იქნა დადგენილება ცესკო-ს ადმინისტრაციის მიერ, რომელიც არეგულირებს ფოტო-ვიდეოგადაღებას. მედიისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე, საიდანაც მათ ეძლევათ საშუალება, გადაიღონ და შეაგროვონ კადრები. ბიულეტენის შეცურების მომენტში ფოტო-ვიდეოგადაღება აკრძალულია – ის უნდა იყოს 3 მეტრით მოშორებული. შესაბამისად, თუ ვინმემ გადაიღო, ეს არის დარღვევით გადაღებული. ვიდეოები გადაღებულია სატელეფონო საშუალებებით. ბატონი გიორგის თქმით, წინა არჩევნებზე ჩატარდა ექსპერიმენტი, რაც ითვალისწინებდა ვიდეოფიქსაციის კამერების შემოღებას და ხმების დათვლის პროცესის კამერებში ჩვენებას. ეს აბსოლუტურად ღიად მმართველმა პარტიამ გადასცა თხოვების წესით საარჩევნო ადმინისტრაციას. აღნიშნული კამერები ჩაწერას ახორციელებდა 1 მეტრის რადიუსიდან, თუმცა, დაიწერა საჩივრები, სადაც აღინიშნა, რომ 1 მეტრის მანძილიდან რთული იყო ბიულეტენზე დაფიქსირებული ნების აღქმა და გარჩევადობა თითქმის არ იყო. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, 3 მეტრის რადიუსიდან გაკონტროლებულიყო ამომრჩევლის ნება ანალოგიური კამერით. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა ისიც, რომ კენჭისყრის დღეს გამორთულია შენობაში დამონტაჟებული ყველა ვიდეოგადამღები კამერა (საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან იგზავნება წერილები ამგვარი კამერების გამორთვის მოთხოვნასთან დაკავშირებით). ცესკო-მ საერთაშორისო დამკვირვებლებთან დააყენა საკითხი, რომ დასკვნებში ჩაეწერათ რეკომენდაცია

ფოტო-ვიდეოგადაღებასთან დაკავშირებით, გაეზიარებინათ ევროპის მიდგომა აღნიშნულ სტანდარტებთან მიმართებით. მაგალითად, ევროპის რიგ ქვეყნებში აკრძალულია ყველანაირი გადაღება. ბატონი გიორგის თქმით, ეს მოთხოვნა დაყენებულია ყველა მისიასთან. ძალზედ მნიშვნელოვანია ევროპული სტანდარტების მოძიება.

როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, გარკვეული პრობლემები ნამდვილად არსებობს და საარჩევნო ადმინისტრაცია ჩაატარებს არჩევნების სრულ აუდიტს, როგორც ყოველთვის კეთდება, შეისწავლის ყველა პრობლემურ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-ს არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს პარლამენტში, სრულ ჩამონათვალს გააცნობს კოლეგებს, დაინტერესებულ მხარეებს. ცვლილებები ნამდვილად საჭიროა კონკრეტულ მიმართულებებში, რომ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ხარვეზები და პრობლემები. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ შემაჯამებელი სხდომის შემეგ გაიცემა დოკუმენტაცია და გაიგზავნება პარლამენტში.

ბატონი გიორგი სანტურიანის თქმით, ამ ეტაპისთვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რეგისტრაციის გაუქმებას არცერთ შემთხვევაში არჩეული დეპუტატების თუ იმ დეპუტატებთან მიმართებით, რომლებიც ახლა არჩეულნი არ არიან, მაგრამ პოტენციურად სიაში არიან. რაც შეეხება მოწმობას, ეს არის პროცედურული საკითხი, რომელიც სჭირდება სამანდატო კომისიას იმ შემთხვევაში, რომ აღნიშნული დოკუმენტი იყოს წარდგენილი და საბოლოოდ გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციასთან ერთად. მანვე ისაუბრა ე.წ. სიებთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ სია ამ შემთხვევაში არის ჩაკეტილი და მასში რეგისტრირებული კანდიდატის გაუქმება, დამატება ან რაიმე ცვლილების შეტანა გამორიცხულია. სია „გაცოცხლდება" მხოლოდ იმ შემთხვევაში და, შესაბამისად, შესაძლებელია თვით ამ კანდიდატის ან პარტიის განცხადების საფუძველზე ვინმეს რეგისტრაცია გაუუქმდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეპუტატების უფლებამოსილების ცნობა განხორციელდება. დეპუტატების უფლებამოსილების ცნობამდე სია არის უძრავი, ჩაკეტილი და მასში რაიმე ცვლილების განხორციელება არის შეუძლებელი. შემდგომ, უკვე არჩეულ დეპუტატს თუ სურს, რომ დატოვოს პარლამენტი, არსებობს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურა.

კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატიმ კითხვით მიმართა ბატონ გიორგი შარაბიძეს, თუ როდის გამოქვეყნდებოდა საბოლოო შედეგები. ბატონი გიორგის თქმით, ცესკო ელოდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამ გადაწყვეტილების შემდგომ იხსნება საკანონმდებლო ვადები, რომ შედგეს შემაჯამებელი სხდომა. ვადა 21 ნოემბრამდეა, თუმცა, როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, ცხადია, ცესკო რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნებს საბოლოო შედეგებს და არ დაელოდება კანონით გათვალისწინებულ ბოლო დღეს.

დასასრულ, კომისიის თავმჯომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

კომისიის თავმჯდომარე: რატი ბრეგაძე

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი